მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-3

დ. მესტია **31.03. 2022წ**

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, რ. გვარმიანი, შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, ზ. ფალიანი, ბ. ნაკანი, შ. გულედანი, ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, ბ. კვიციანი, მ. პაკელიანი, ზ. ხარძიანი, ლ. პაკელიანი, კ. გუჯეჯიანი, გ. გიგლემიანი, ლ. ქალდანი, ლ. ჩარკვიანი, თ. დადეშქელიანი, დ. გვიჩიანი, გ. დადვანი, დ. ჯაფარიძე,
<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ი. რატიანი, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, გ. ხვისტანი, მ. ხერგიანი, ა. რატიანი, მ. კვანჭიანი, მ.რატიანი, მ. გელოვანი, ზ. დევდარიანი, გ. გელოვანი,
<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მთ. სპეციალისტი ვ. გულედანი.
<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.
<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი ლ. უდესიანი.
სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 22 დეპუტატი.
თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი, თანამომხსენებელი რ.გვარმიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლებით სს „ნენსკრაჰიდროსთვის" გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

/მომხსენებელი: თ.გოშთელიანი. თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში ა(ა)ი პ მესტიის მუნიციპალიტეტს სპორტული ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".

/მომხსენებელი: მ.ნაკანი, თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების საკითხის მოწონების შესახებ“.

/მომხსენებელი: თ.გოშთელიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საჯარო მოსამსახურეებზე საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.01.2022 წლის №გ-135.135220312 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

/მომხსენებელი: რ.გვარმიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------22

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № 13 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27021.80 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 27689.51 ათასი ლარია. ბიუჯეტის ბალანსი წარმოადგინა კლასიფიკაციის მიხედვით.

2021 წელს პრიორიტეტული იყო მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება, სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

დ. გვიჩიანი--- მოიწონა წარმოდგენილი ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ კომისიებმა უნდა იმუშაონ უფრო აქტიურად მოიწვიონ სამსახურის უფროსები რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №- 14 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლებით სს „ნენსკრაჰიდროსთვის" გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა ისაუბრა ნენსკრა ჰესისთვის გადასაცემ მიწების შესახებ. აღნიშნა, რომ პანდემიიდან გამომდინარე ვერ დასრულდა გეგმით გათვალისწინებული რიგი სამუშაოები, აქედან გამომდინარე ფორსმაჟორული გარემოებების გათვალისწინებით ითხოვს მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, თანხმობის მიცემას დანართში აღნიშნული მიწების გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი--მოვითხოვოთ ინფორმაცია თუ რა ეტაპზეა სამუშაოები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლებით სს „ნენსკრაჰიდროსთვის" გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-15 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ნაკანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში ა(ა)ი პ მესტიის მუნიციპალიტეტს სპორტული ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".

ა(ა)ი პ "მესტიის სპორტული ცენტრი"- ის 2021წლის წლიურმა დამტკიცებულმა და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 850597 ლარი. მათ შორის გეგმამ მუხლების მიხედვით შეადგინა:

„შრომის ანაზღაურება" –540240 ლარი, შტატგარეშე ანაზღაურება-60000 ლარი, „ მივლინება"- 12000 ლარი, „ოფისის ხარჯი" –19800 ლარი (300ლარი-საკანცელარიო, 500ლარი-ქიმწმენდა,

15000კომუნალური, 4000-კავშირგაბმულობა). „ტრანსპორტის და ტექნიკის ხარჯი“-12000 ლარი, „სპ. ფორმა“-41208ლარი, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტი-59049 ლარი „სპორტული ღონისძიებების (ადგილობრივი და გასვლითი) ხარჯი“-76300ლარი, „სხვა ხარჯი-7000 ლარი, არაფინანსური აქტივი“-23000. მომხსენებელმა ისაუბრა ა(ა)იპ-ის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე, მიღწეულ წარმატებებზე, ისაუბრა აგრეთვე პრობლემებზე. (ანგარიში თან ახლავს).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა--სასურველი იქნებოდა 2021 წელს ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში წარმოდგენილი ყოფილიყო ჩაშლილი ფორმით, აუცილებელია დაგეგმარება ისეთი ფორმით, რომ მზარდი იყოს ბავშვების შედეგები, დიდ პრობლემას წარმოადგენს ძველი ინვენტარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში ა(ა)ი პ მესტიის მუნიციპალიტეტს სპორტული ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ”.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-16 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების საკითხის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 23/06/2021წ. N-627. წარმოდგენილი იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს ინიციატივა, გეოგრაფიული ობიექტის: ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის აფხაზეთის ომის მონაწილე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვეტილების მიღებისას იხემძღვანელა საქართველოს კანონმდებლობით და წარმოდგენილი ფაქტებით ავთანდილ იოსელიანის შესახებ, რომელიც გმირულად შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. იგი 1992 წელს 40 წლის ასაკში დაიღუპა აფხაზეთის ომში. ამ განსაკუთრებული დამსახურებების, ერის და საქართველოს სახელმწიფოს წინაშე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მას მიენიჭა ეროვნული გმირის სტატუსი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: შ. ცინდელიანმა-მიესალმა და მოიწონა აღნიშნული პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების საკითხის მოწონების შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-18 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდარიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საჯარო მოსამსახურეებზე საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ "მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.01.2022 წლის №გ-135.135220312 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის", აქედან გამომდინარე მესტიის მუნიციპალიტეტის განკარგულებაში ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საჯარო· მოსამსახურეებზე საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" შევიდა ცვლილება და

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საჯარო მოსამსახურეებზე საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.01.2022 წლის №გ-135.135220312 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №- 17 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე